

გამოყენების სფეროების განსაზღვრა

სხვადასხვა კლიმატური ზემოქმედების მიხედვით, შიდა და გარე ზედაპირების კლასიფიკაცია.

აღწერა

გამოყენების სფეროები

შესაბამისი მასალებისა და სისტემების არჩევისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დასამუშავებელი ზედაპირის, როგორც ადგილმდებარეობა, ასევე მისი გარემო პირობები, რადგან როგორც გარე, ისე შიდა ზედაპირები ექვემდებარება მრავალფეროვან კლიმატურ და გარემო დატვირთვებს. თანამედროვე სამშენებლო მასალები გამოირჩევიან მრავალფეროვანი მახასიათებლებით, თვისებებითა და გარემოზე ზემოქმედების უნარით, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორი ტიპის მასალები იქნება გამოყენებული ამა თუ იმ ზედაპირზე. განსაკუთრებით შიდა სამუშაოებისას მნიშვნელოვანია გარემო პირობების გათვალისწინება, როგორცაა მაგალითად: ტემპერატურა, ტენიანობა, კონდენსაცია და სხვა. როდესაც ოთახის კლიმატი ჩვეულებრივ საცხოვრებელ სივრცეში არაკრიტიკულია, საწარმოო დარბაზებში ან კომერციულ სამზარეულოში ყველაფერი შეიძლება სრულიად განსხვავებულად გამოიყურებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში შიდა სივრცესთან გვაქვს საქმე.

ამ ტექნიკურ ინფორმაციაში განხილული იქნება გამოყენების 5 სხვადასხვა სფერო, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი შემთხვევების და გამოყენებისთვის დამახასიათებელი კლიმატური და გარემო პირობების მიხედვით.

ზუსტი აღწერილობის და ჩამოთვლილი მაგალითების საფუძველზე, შესაძლებელია სამშენებლო ობიექტების ცალკეულ ზონებად დაყოფა.

კაპაროლის პროდუქციის გამოყენებამდე გთხოვთ გაეცნოთ შესაბამისი პროდუქტის ტექნიკურ ინფორმაციას დეტალურად.

თვისებები

გამოყენების სფეროების განსაზღვრა



გამოყენების სფეროები		
	აღწერა	მაგალითები
ინტერიერი 1	გათბობის მქონე შიდა სივრცეები, უპირატესად დარეგულირებული ტემპერატურითა და საცხოვრებელი ფართისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობებით.	ბინები, სკოლები, ოფისები, მაღაზიები, სასტუმრო ოთახები, სამედიცინო დაწესებულებები.
ინტერიერი 2	შიდა სივრცეები გაზრდილი ტენიანობით, ზედაპირზე კონდენსაციის მუდმივი ზემოქმედების გარეშე.	მინისქვეშა ავტოსადგომები, კერძო სველი წერილები და მსგავსი დანიშნულების ოთახები, საკუჭნაო ოთახები, სარდაფები, საწყობები და სახელოსნოები.
ინტერიერი 3	დახურული, გათბობის გარეშე, ვენტილირებადი შიდა სივრცეები. ასევე გათბობის მქონე სივრცეები, მუდმივად მაღალი ტენიანობით და პერიოდული წყლის შხეფების ზემოქმედებით. კედლისა და ქერის ზედაპირები, რომელთა ზედაპირის ტემპერატურა დროდადრო, ეცემა ნამის წერილს ქვემოთ.	დიდი კომერციული სამზარეულოები, სამრეცხაოები, საწარმოო დარბაზები, რომლებშიც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით წყლის ორთქლი, დახურული საცურაო აუზების კედლისა და ქერის ზედაპირები, პერმანენტული წყლის ზემოქმედების გარეშე, ცივი სივრცეები.
ექსტერიერი 1	გარე ზედაპირები პირდაპირი ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედების გარეშე, სადაც არ არის გამორიცხული პერიოდული კონდენსაციისა და ყინვა-დათბობის ზემოქმედება.	აივანი, ლოჯები, ღია ავტოფარეხების ქერის ზედაპირები, მინისქვეშა გადასასვლელების კედლები და ქერი, გადახურული და დაცული შესასვლელები და დერეფნები.
ექსტერიერი 2	გარე ზედაპირები პირდაპირი ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებით.	შენობების სტანდარტული ფასადები, კედლები და სხვა შეღებვისთვის შესაფერისი გარე ზედაპირები.

კაპაროლის ყველა პროდუქტს გააჩნია თავისი ინდივიდუალური ტექნიკური ინფორმაცია, რომელშიც გამოყენების სფეროების განსაზღვრა მოცემულია ცხრილის სახით და პროდუქტის შესაფერისობის შემდეგი სამი შეფასება არსებობს:

- არ არის შესაფერისი
- o შეზღუდულად შესაფერისი
- + შესაფერისი

კლასიფიკაცია (o) „შეზღუდულად შესაფერისი“ არ გამორიცხავს მითითებულ ზონაში პროდუქტის გამოყენებას. გარკვეულ პირობებში, შესაძლებელია ამ პროდუქტის გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, მიმართეთ კაპაროლის ოფისს კონსულტაციისთვის.

განმარტება:

დანაფარის, ატმოსფერული და კლიმატური მოვლენებისადმი გამძლეობის უნარი განისაზღვრება მისი ტენიანობის, ტემპერატურის რყევებისა და შესაძლო გაყინვა-დათბობის ციკლებისადმი მედეგობის უნარით. მაშინაც კი თუ ზედაპირი არ ექვემდებარება წყლის პირდაპირ ზემოქმედებას, მასზე წყალი შეიძლება კონდენსაციის სახით წარმოიქმნას. თუ ეს იშვიათად და მოკლე დროით ხდება, როგორც მაგალითად: სამზარეულოს ან აბაზანის ზედაპირებზე, რომელიც არ ექვემდებარება წყლის შხეფების მუდმივ ზემოქმედებას (ინტერიერი 2), მაშინ, ეს სტანდარტული დანაფარის მედეგობის უნარზე გავლენას არ ახდენს. თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში, მუდმივად მაღალი ტენიანობის და წყლის შხეფების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ზედაპირების (ინტერიერი 3) დამუშავებისას, უმჯობესია გამოყენებულ იქნას - ტენიანობის მიმართ მაღალი მედეგობის უნარის მქონე მასალები.

ამის მაგალითია: ღია ავტოფარეხების ქერის ზედაპირები (ექსტერიერი 1). თუ კონსტრუქცია (როგორც წესი - ბეტონის ან ფოლადის), ღამის მანძილზე გრილდება, დღისით ის თბილ ჰაერთან შეხებაში მოდის. ასე ზედაპირზე წარმოიქმნება კონდენსაცია, რამაც შეუფერებელი დანაფარი შეიძლება საგრძნობლად დააზიანოს.

კაპაროლის პროდუქტების კლასიფიკაცია ცალკეულ გამოყენების სფეროებში, ითვალისწინებს ყველა ამ კრიტერიუმს, რათა მოხდეს პროდუქტის ზუსტი და სწორი შერჩევა.

გამოყენება

ზედაპირის მომზადება

სამუშაო ობიექტებზე, სადაც განათების არახელსაყრელი პირობებია და მაღალი და სწრაფი შენთვის უნარის მქონე ზედაპირები, პროდუქტი TopGrund EG-ს დახმარებით შესაძლებელია სამუშაო დროის ოპტიმიზაცია, რადგან ამ პროდუქტს გააჩნია გამოყენებისთვის ხანგრძლივი სამუშაო ღია დრო და ასე მცირდება ზედაპირზე ზოლების წარმოქმნის რისკი.

მითითებები

■ აუცილებელია სამშენებლო კომპონენტების კონსტრუქციული დაცვის უზრუნველყოფა.

■ ზედაპირებისთვის ცალკეული პროდუქტების შესაბამისობის განსაზღვრა, არსებულ გარემო და კლიმატურ პირობებში, ამ ტექნიკურ ინფორმაციაში ხდება მხოლოდ პროდუქტის ფარვის უნარის მიხედვით. სხვა შესაძლო შემთხვევებზე, როგორცაა მაგალითად: დაბინძურება, ქიმიური ზემოქმედება, მიკრობული დაბინძურება და ა.შ, არ არის გათვალისწინებული და უნდა განისაზღვროს ცალკეული პროდუქტების, ინდივიდუალური ტექნიკური ინფორმაციის მიხედვით.

■ ხავსის და სოკოვანი დაბინძურების საწინააღმდეგო ფასადის პროდუქტების, გამოყენების სფეროებში: ინტერიერი 1 და ინტერიერი 2 - ში გამოყენება არ არის რეკომენდირებული, მათ შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებების გამო, მაშინაც კი, თუ სამუშაო სივრცეში ამისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია.

■ გამხსნელზე დაფუძნებული საღებავების, ლაქების და ლაზურების გამოყენება ინტერიერში, როგორც წესი დასაშვებია, თუმცა ასეთი მასალების გამოყენებისას შესაძლოა წარმოქმნას სპეციფიური და შემანუხებელი სუნი და ამიტომ ასეთი პროდუქტების გამოყენების სფეროებში: ინტერიერი 1, ინტერიერი 2 და ინტერიერი 3-ში გამოყენება ფასდება, როგორც: "შეზღუდულად შესაფერისი" (o).

■ მუდმივი კონდენსაციის და წყლის შხეფების მუდმივი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ზედაპირები (საშხაპე უჯრედები, ორთქლის საუნები, აუზის კიდეები დახურულ აუზებში და ა.შ) ექვემდებარება დატვირთვის განსაკუთრებულად მაღალ დონეს და ამიტომ არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოცემულ გამოყენების სფეროებში. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური დანიშნულების მასალების გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, მიმართეთ კაპაროლის ოფისს კონსულტაციისთვის.

მითითებები

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
 ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
 0198 თბილისი საქართველო
 office@caparol.ge
 www.caparol.ge